20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

განკარგულება

2016 წლის 17 მარტი №167

თბილისი

შპს „ნიკორა ტრეიდი"–ს ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტის დამტკიცების და საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე–15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52–ე მუხლის „ა" და „დ" პუნქტების, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის მე–11 და მე-15 პუნქტების, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2008 წლის 1 ივლისის N3 ბრძანებით დამტკიცებული „საწარმოთა ობლიგაციების ემისიის პროსპექტებისა და განთავსების ანგარიშების შესახებ" წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 სექტემბრის N73/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების და ემისიის დამტკიცებული პროსპექტის რეგისტრაციის წესის" მე–3 მუხლის მე–3 პუნქტის, მე–4 მუხლის მე–7 პუნქტის და მე–8 მუხლის მე–2 პუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 27 ივნისის N66/04 ბრძანების საფუძველზე:

1. დამტკიცდეს შპს „ნიკორა ტრეიდი"–ს ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტი;
2. დამტკიცებული ემისიის საბოლოო პროსპექტის რეგისტრაცია განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
3. შპს „ნიკორა ტრეიდი"-ს ახლად ემიტირებულ ობლიგაციებს მიენიჭოს საიდენტიფიკაციო ნომერი GE 2700603360;
4. წინამდებარე განკარგულების ამოქმედებიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს შპს „ნიკორა ტრეიდ"-ს ახლად ემიტირებული ობლიგაციებისთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე;
5. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი №6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

ოთარ ნადარაია

საქართველოს ეროვნული ბანკი
პრეზიდენტის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

2-08/1040-16
18.03.2016

შპს „ნიკორა ტრეიდის“
გენერალურ დირექტორს
ბატონ დავით ურუშაძეს

თქვენი ამა წლის 15 მარტის განაცხადზე

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის ამა წლის 17 მარტის N 167 განკარგულების საფუძველზე, დამტკიცდა შპს „ნიკორა ტრეიდის“ ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტი. ამავე განკარგულების საფუძველზე, შპს შპს „ნიკორა ტრეიდის“ ობლიგაციებს მიენიჭათ შემდეგი საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი: GE 2700603360.

წერილს თან ერთვის შესაბამისი განკარგულების ასლი და 4 (ოთხი) საბოლოო ემისიის პროსპექტი.

პატივისცემით,

ოთარ ნადარაია

ვიცე-პრეზიდენტი

0114 / თბილისი / სანაპიროს 2 / ტელ.: 2406 406, 2406 120/ ფაქსი: 2406 577/ ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge / კოდი: 20410484
2 Sanapiro str/ Tbilisi 0114/ Tel.: 2406 406, 2406 120/ Fax: 2406 577/ E-mail: info@nbg.gov.ge / code: 20410484